სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური

დირექტორის

ბრძანება № 02

2016 წლის 11 იანვარი

ქ. თბილისი

სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ

„სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 26 ივნისის N77/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ქეთევან გაბიტაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N15720, 11.01.2016წ.) შესაბამისად

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2016 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსი 2016 წლის 11 იანვარს;
2. დამტკიცდეს 2016 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს 2016 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტი და პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს პროექტის მონაწილის პროფესიული ავტობიოგრაფიის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;

7. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

8. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

9. . ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

გიორგი ჟღენტი
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი №1
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის
2016 წლის 11 იანვრის № 02 ბრძანებით

2016 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის პროგრამა და პირობები

1. ზოგადი დებულებები

1. სეზონური სკოლების/ბანაკების კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) სრულ ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი).

2. კონკურსის მიზნებია: ახალგაზრდა მეცნიერთათვის და სტუდენტებისათვის სამეცნიერო სეზონური სკოლების/ბანაკების ორგანიზება და არსებულ სეზონურ სკოლათა ფუნქციონირების ხელშეწყობა; ქართული მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; ახალი კადრების მეცნიერებაში მოზიდვა, ახალგაზრდა მეცნიერთა კვალიფიკაციის ამაღლება, კვლევის მეთოდებში ტრენინგის, ტრანსფერული უნარ-ჩვევების განვითარებისა და ინტერდისციპლინური თანამშრომლობის წახალისება; საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისება და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირება.

3. უპირატესობა მიენიჭება საკონკურსოდ წარმოდგენილი სეზონური სკოლის/ბანაკის განაცხადს (შემდგომში პროექტს), რომელიც:

ა) ორიენტირებულია კვლევის მეთოდებისა და ტრანსფერული უნარ-ჩვევების განვითარებაზე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად;

ბ) ითვალისწინებს სტუდენტთა (მაგისტრანტი, დოქტორანტი) და ახალგაზრდა მეცნიერთა (მაგისტრი ან დოქტორი, რომელსაც დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღამდე ბოლო შვიდი წლის პერიოდში) ჩართულობას;

გ) ხელს უწყობს ინტერდისციპლინურ თანამშრომლობას და კონკრეტულ თემებზე/პრობლემებზე ორიენტირებული კვლევების განხორციელებას;

დ) წაახალისებს ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებას;

ე) ითვალისწინებს საქართველოს რეგიონებში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების პროექტში ჩართულობას;

ვ) ითვალისწინებს თანადაფინანსებას.

2. კონკურსის პირობები

1. კონკურსის ფარგლებში ფინანსდება სეზონური სკოლები შემდეგ მიმართულებებში:
მიმართულება "ა". საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების სეზონური სკოლა.

მიმართულება "ბ". სამეცნიერო სეზონური სკოლა, რომლის მიმართულება შეესაბამება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და ევროსტატის (EUROSTAT) კლასიფიკაციას:

1. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
2. ინჟინერია და ტექნოლოგიები;
3. სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
4. აგრარული მეცნიერებები;
5. სოციალური მეცნიერებები;
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები.

2. სეზონური სკოლები უნდა ჩატარდეს 2016 წლის 31 მაისიდან 2017 წლის 31 მაისის ჩათვლით.

3. სეზონური სკოლის პროგრამა უნდა მოიცავდეს მინიმუმ 30 აკადემიურ საათს.

4. კონკურსის საერთო ბიუჯეტია 500 000 ლარი. ერთი საგრანტო პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 45 000 ლარს.

- პირველი მიმართულების ბიუჯეტია 75 000 ლარი
- მეორე მიმართულების ბიუჯეტია 425 000 ლარი

მიმართულებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტიდან თანხის აუთვისებლობის შემთხვევაში შესაძლებელია ნაშთის გამოყენება მეორე მიმართულების პროექტების დაფინანსებისათვის.

5. კონკურსის ადმინისტრირების განრიგია:

- 11/01/2016 - კონკურსის გამოცხადება;
- 22/01/2016 16:00 სთ - ჯგუფური კონსულტაცია (1);
- 4/03/2016 16:00 სთ - ჯგუფური კონსულტაცია (2);
- 29/02/2016 - შეკითხვების გამოგზავნის ბოლო ვადა;
- 15/03/2016 16:00 სთ - ელექტრონული განაცხადების გამოგზავნის ბოლო ვადა;
- 17/03/2016 16:00 სთ - ამობეჭდილი და ხელმოწერილი განცხადების ფონდის კანცელარიაში დარეგისტრირების ბოლო ვადა;
- 27/04/2016 - კონკურსის შედეგების გამოცხადება;
- 3/05/2016-7/05/2016 - საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება;

3. კონკურში მონაწილეობა

1. სეზონური სკოლის გრანტის მოპოვების მიზნით პროექტი უნდა წარმოადგინოს პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა და წამყვანმა ორგანიზაციამ ერთობლივად.

ა) პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელიც კოორდინაციას გაუწევს პროექტის მომზადება-განხორციელებას.

ბ) პროექტის წამყვანი ორგანიზაცია შეიძლება იყოს საქართველოში რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირი (სსიპ), კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი (ააიპ) და მოქმედი კანონის შესაბამისად ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც აქვს სეზონური სკოლის მიმართულების შესაბამისი კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო გამოცდილება.

2. პროექტში ჩართული უნდა იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე ან უცხოეთში მოღვაწე საქართველოს მოქალაქე აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირ(ებ)ი, რომლის კომპეტენცია შეესაბამება სეზონური სკოლის თემატიკას.

3. პროექტში შეიძლება ჩართული იყოს ერთი ან რამდენიმე ადგილობრივი ან/და საერთაშორისო

ორგანიზაცია თანამონაწილე ორგანიზაციის სტატუსით.

4. პროექტს შეიძლება ჰყავდეს თანახელმძღვანელი - საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც არის თანამონაწილე ორგანიზაციის წარმომადგენელი და სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად კოორდინაციას გაუწევს პროექტის მომზადება-განხორციელებას.

4. პროექტის რეგისტრაცია

1. კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის ხელმძღვანელმა **2016 წლის 15 მარტის 16:00 სთ-მდე უნდა გამოაგზავნოს პროექტის სრული პაკეტი ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: ss@rustaveli.org.ge .**

2. კონკურსის ელ. ფოსტაზე მიღებულ თითოეულ პროექტს მიენიჭება **სარეგისტრაციო შიფრი** და გაეგზავნება პროექტის ხელმძღვანელს. პროექტის **სარეგისტრაციო შიფრი უნდა მიეთითოს განცხადებაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ.**

3. სამეცნიერო ხელმძღვანელს შეუძლია კონკურსზე დაარეგისტრიროს მხოლოდ ერთი პროექტი. ამისათვის გრანტის მაძიებელმა უნდა შეავსოს „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ", მიუთითოს პროექტისათვის მინიჭებული სარეგისტრაციო შიფრი, დაამოწმოს პროექტის წამყვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით, ბეჭდით, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერით და ჩააბაროს **ფონდის კანცელარიაში არაუგვიანეს 17 მარტის 16:00 საათისა.**

4. დადგენილი ვადის, ფორმატის დარღვევით ან არასრულყოფილად წარმოდგენილი პროექტები და განცხადებები საკონკურსოდ არ განიხილება.

5. პროექტის რეგისტრაციისათვის აუცილებელი დოკუმენტები

1. „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ" დამოწმებული პროექტის წამყვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით, ბეჭდით და პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერით ფონდის კანცელარიაში წარმოსადგენად;

2. საპროექტო წინადადება (PDF ფორმატში);

3. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტი (Excel ფაილი);

4. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პროექტის პერსონალის (ტექნიკური პერსონალის გარდა) ამ პუნქტის „ა" და „ბ"ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტების დასკანერებული ასლები, თანმიმდევრულად გაერთიანებული უნდა იყოს ერთ PDF ფაილში; ხოლო „გ" და „დ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტების დასკანერებული ასლები, თანმიმდევრულად გაერთიანებული უნდა იყოს ცალკე PDF ფაილში;

ა) პირადობის მოწმობა;

ბ) შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი. უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს მოქალაქეებზე გაცემულ დოკუმენტს თან უნდა ერთოდეს „ცნობა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ" გაცემული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ;

გ) დეტალური პროფესიული ბიოგრაფია (CV) პუბლიკაციების სიითა და სამეცნიერო-კვლევით პროექტებში (გრანტებში) მონაწილეობის მითითებით. უცხოელი მონაწილეების ბიოგრაფია შეგიძლიათ წარმოადგინოთ ინგლისურ ენაზე;

დ) უცხოეთში მოღვაწე პერსონალის დაინტერესების წერილი (Letter of Interest) პროექტში მონაწილეობაზე, შემოთავაზებული თემ(ებ)ის დასახელებით, პიროვნების სამეცნიერო ხარისხის, თანამდებობის, სამუშაო ადგილის, საკონტაქტო ინფორმაციის, პროფესიული ვებგვერდისა და უნივერსიტეტის/კვლევითი დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდის მისამართით, სადაც დასტურდება მისი მოღვაწეობის შესახებ მოწოდებული ინფორმაცია. დაინტერესების წერილი ნათარგმნი და დამოწმებული უნდა იყოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

5. პროექტის წამყვანი ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და წესდება (დასკანერებული და თანმიმდევრულად ერთ PDF ფაილში გაერთიანებული);

6. ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დონორის/სპონსორის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული (უცხოური ორგანიზაციის შემთხვევაში დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი და დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ).

7. წამყვანი ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები (საჯარო სამართლის უირიდული პირის შემთხვევაში სახაზინო კოდი, ხოლო კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი (ააიპ) და ავტორიზებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში ორგანიზაციის მიერ გახსნილი საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტის თანხა).

8. ამ მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებში ჩამოთვლილი დოკუმენტები უნდა გამოიგზავნოს ერთად, ერთ გზავნილზე მიბმული ფაილების სახით კონკურსის ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

6. დაფინანსება

1. საგრანტო პროექტის ფარგლებში ფინანსდება:

ა) პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პერსონალის შრომის ანაზღაურება; ფონდიდან მოთხოვნილი **შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს პროექტისთვის ფონდიდან მოთხოვნილი ბიუჯეტის 35%-ს;**

ბ) პროექტის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში),, პერსონალისა და მსმენელების კვების, ტრანსპორტირებისა და სასტუმროს ხარჯი;

გ) პროექტით გათვალისწინებული, სეზონური სკოლის თემატიკასთან დაკავშირებული პროგრამული აქტივობის ხარჯი:

გ.ა. სასწავლო და სამეცადინო დანიშნულების პროდუქტები: ბეჭდვითი, ელექტრონული, ვიზუალური, საკანცელარიო (მათ შორის სკოლაში დასწრების დამადასტურებელი სერტიფიკატები) და საექსპერიმენტო მასალები და სხვა;

გ.ბ. სასწავლო და სამეცადინო დანიშნულების მომსახურება: საველე სამუშაოებთან, ექსპედიციებთან და მუზეუმში ვიზიტთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა;

გ.გ. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებების შესყიდვის ან დაქირავების ხარჯი;

გ.დ. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო სივრცის (აუდიტორია, დარბაზი, ლაბორატორია და ა.შ.) დაქირავების ხარჯი;

დ) პროექტის განხორციელებისათვის საჭირო სხვა ხარჯები.

2. ფონდი არ აფინანსებს:

ა) კაპიტალური რემონტსა და შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ ხარჯებს; უძრავი ქონების, ტრანსპორტისა და კომპიუტერული ტექნიკის შეძენას;

ბ) უცხოელი მსმენელების საერთაშორისო მგზავრობის ხარჯებს.

3. პროექტი შესაძლოა ითვალისწინებდეს თანადაფინანსებას (თანადაფინანსების სახით სეზონური სკოლის ხარჯებზე შეიძლება მიმართულ იქნას: დონორის/სპონსორის მიერ გამოყოფილი დაფინანსება; კონკურსში მონაწილე პირის საკუთარი სახსრები; მსმენელის საკუთარი ხარჯები).

4. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება პროექტის წარმდგენ იურიდიულ პირს.

7. კონკურსის ეტაპები

კონკურსის ძირითადი ეტაპებია:

1. კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით;

2. პროექტების წარდგენა ელექტრონული ფოსტით;

3. კონკურსში მონაწილეთა განცხადებების დარეგისტრირება ფონდის კანცელარიაში;

3. რეგისტრირებული პროექტების კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

4. პროექტების განხილვა, შეფასება, კონკურსის ორი მიმართულების მიხედვით რანჟირებული სიების დადგენა და გამარჯვებულების გამოვლენა საკონკურსო კომისიის მიერ;

5. გამარჯვებული პროექტების დასაფინანსებლად დამტკიცება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

6. კონკურსის შედეგების გამოქვეყნება;

7. საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება გამარჯვებული პროექტების წამყვან ორგანიზაციას, სამეცნიერო ხელმძღვანელსა და ფონდს შორის;

8. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, რომლიც შეიცავს არასრულ, ყალბ ან დადგენილი ფორმის დარღვევით წარმოდგენილ ინფორმაციას.

8. საკონკურსო შეფასების კომისია

1. საკონკურსო შეფასების კომისიას ქმნის ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. საკონკურსო შეფასების კომისია (შემდგომში - კომისია) ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 26 ივნისი №77/ნ ბრძანებით დადგენილი წესით.

3. კომისია განიხილავს კონკურსზე წარმოდგენილ პროექტებსა და თანდართულ დოკუმენტაციას, აფასებს მათ განსაზღვრული პრიორიტეტებისა და საკონკურსო კრიტერიუმების შესაბამისად,

ადგენს კონკურსის ორი მიმართულების მიხედვით რანჟირებული სიებს, გამოავლენს გამარჯვებულებსა და დასამტკიცებლად წარუდგენს ფონდის გენერალური დირექტორს.

4. დაუშვებელია საკონკურსო კომისიის წევრი იყოს პირი, რომელსაც აქვს ინტერესთა კონფლიქტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 26 ივნისის №77/ნ ბრძანებით დადგენილი წესის მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. საგრანტო ხელშეკრულება

1. კომისიის მიერ დასაფინანსებლად შერჩევისა და ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას გამარჯვებული პროექტის წამყვან ორგანიზაციასა და პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან, რომელშიც გაიწერება ურთიერთვალდებულებათა დეტალური პირობები.
2. პროექტის შესრულების დროს გრანტის მიმღების მიერ შექმნილ ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ფონდსა და გრანტის მიმღებს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით.
3. ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 დღის ვადაში ფონდის მხრიდან საგრანტო დაფინანსება გადაირიცხება ავანსის სახით (გარდა სამეცნიერო ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პროექტში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურების 30%-ისა), გრანტის მიმღები ორგანიზაციის შესაბამის ანგარიშზე.
4. საბოლოო ანგარიშსწორება (სამეცნიერო ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პროექტში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურების 30%-ის გადარიცხვა) მოხდება ფინანსური და პროგრამული ანგარიშების წარმოდგენის შემდეგ ფონდის მიერ მომზადებული განხილვის აქტის შესაბამისად.

10. ანგარიშგება და მონიტორინგი

1. ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

2. გრანტის მიმღებმა სეზონური სკოლის დასრულების შემდეგ 15 დღის განმავლობაში ფონდს უნდა წარუდგინოს ანგარიში, რომელიც შედგება ფინანსური და პროგრამული ნაწილისაგან.

3. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფინანსურ კონტროლს ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ანგარიშის ფორმების შესაბამისად წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

4. ფონდი ეყრდნობა გრანტის მიმღების მიერ წარდგენილ საგრანტო სახსრების ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რომლებიც წარმოდგენილი უნდა იყოს ფოტო- ან/და ელექტრონული (დასკანერებული) ასლების სახით.

5. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების კონტროლს ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ანგარიშის ფორმების შესაბამისად წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

6. გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი ფინანსური და პროგრამული ანგარიშების საფუძველზე ფონდი ადგენს განხილვის აქტს, რომელშიც აისახება:
ა) ავანსის სახით გადარიცხული თანხის ხარჯვის შესაბამისობა საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან;
ბ) პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა ხელშეკრულებით

გათვალისწინებულ პროგრამულ აქტივობებთან.
7. პროექტი დასრულებულად ჩაითვლება მხარეებს შორის გაფორმებული შედარების აქტის საფუძველზე.

11. დამატებითი მოთხოვნები

1. სეზონური სკოლას უნდა ჰქონდეს ვებგვერდი, სადაც განთავსებული იქნება სკოლის შესახებ ინფორმაცია. ვებგვერდის ადმინისტრირებას უნდა ახორციელებდეს წამყვანი ორგანიზაცია.

2. სეზონური სკოლის ვებგვერდზე და პროექტის ფარგლებში შექმნილ ნაბეჭდ მასალაზე (ფლაერი, ბანერი, მოსაწვევი, სასწავლო ტექსტებზე, პოსტერებზე და სხვ.) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ პროექტი განხორციელდა ფონდის მხარდაჭერით.

3. ფონდის თანამშრომლები უფლებამოსილი არიან, დაესწრონ სეზონური სკოლის ნებისმიერ სექციას (გახსნის ან დახურვის ცერემონია, გაკვეთილი, სემინარი, დებატები და სხვა).

4. ფონდი იტოვებს უფლებას გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროგრამული ანგარიშები, ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები და ვებგვერდის მისამართი გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდზე.

დანართი №2
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის
2016 წლის 11 იანვრის № 02 ბრძანებით

SS16_
სარეგისტრაციო შიფრი

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2016 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ გავეცანით ,,სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 26 ივნისის N77/ნ ბრძანებას, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 11 იანვრის № 02 ბრძანებით დამტკიცებულ კონკურსის პროგრამასა და პირობებს.

წინამდებარე პროექტის წარმომდგენები ვაცხადებთ თანხმობას მონაწილეობა მივიღოთ საგრანტო კონკურსში ზემოთხსენებული დოკუმენტებით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით. ამასთანავე, ვაცნობიერებთ, რომ კონკურსის მიზნებისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსაბამო, არასრული ან ყალბი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში პროექტი მოიხსნება კონკურსიდან.

ვადასტურებთ, რომ ელ. ფოსტით კონკურსზე წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტები:[1]

- ☐ საპროექტო წინადადება (PDF ფაილი)
- ☐ გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტი (Excel ფაილი)

პროექტში მონაწილე ძირითადი პერსონალის დოკუმენტები (დასკანერებული და გაერთიანებული PDF ფაილების სახით):

- ☐ პირადობის მოწმობის/პასპორტის დასკანერებული ასლები;
- ☐ დეტალური პროფესიული ბიოგრაფიები - CV; უცხოელი მონაწილის შემთხვევაში - ინგლისურ და ქართულ ენებზე;
- ☐ განათლების/სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დასკანერებული ასლები;
- ☐ უცხოელი მონაწილის დაინტერესების წერილი (Letter of Interest) დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

პროექტის მონაწილე ორგანიზაციების დოკუმენტები (ერთიანი PDF ფაილის სახით):

- ☐ სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტები: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, წესდება/დებულება;
- ☐ პროექტის მიზნობრივი საბანკო რეკვიზიტები;
- ☐ ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვადასტურებთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია, შეესაბამება ფონდის მიერ დადგენილ ფორმებს და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს.

[1] მონიშნეთ შესაბამისი უჯრები

გთხოვთ, განიხილოთ ჩვენი განცხადება 2016 წელს სეზონური სკოლის გრანტის მისაღებად.[2]

SS16_ **კონკურსის მიმართულება №**

სარეგისტრაციო შიფრი

სამეცნიერო მიმართულება * კონკურსის დებულების მე-2 მუხლის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმუმ 3 სამეცნიერო მიმართულება	1. 2. 3.
სეზონური სკოლის სახელწოდება (ქართულად)	
სეზონური სკოლის სახელწოდება (ინგლისურად)	

სამეცნიერო მიმართულების შესარჩევად იხელმძღვანელეთ სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორით

პროექტის ბიუჯეტი:

მოთხოვნილი თანხა, ლარი	თანადაფინანსება, ლარი	საერთო ბიუჯეტი, ლარი

ჩატარების პერიოდი

დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი

ჩატარების ადგილი

წამყვანი ორგანიზაცია

სრული სახელწოდება	
მისამართი	
ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი	**ხელმოწერა**

ბ.ა.

ტელეფონი	**ელ.ფოსტა**
პროექტის ხელმძღვანელის სახელი, გვარი	**ხელმოწერა**
სამეცნ. ხარისხი	**თანამდებობა**
ტელეფონი	**ელ.ფოსტა**

[2]გამოიყენეთ შრიფტი Sylfaen, ზომა 11, დაშორება “single”.

თანამონაწილე ორგანიზაცია *

სრული სახელწოდება	
მისამართი	
ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი	**ხელმოწერა**

ბ.ა.

ტელეფონი	**ელ.ფოსტა**
პროექტის თანახელმძღვანელის სახელი, გვარი	**ხელმოწერა**
სამეცნ. ხარისხი	**თანამდებობა**
ტელეფონი	**ელ.ფოსტა**

* საჭიროებისამებრ წაშალეთ ან დაამატეთ თანამონაწილე ორგანიზაციის ცხრილი

დანართი №3
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის
2016 წლის 11 იანვრის № 02 ბრძანებით

საპროექტო წინადადება

ინფორმაცია პროექტის შესახებ [1]

სეზონური სკოლა			
სახელწოდება ქართულად			
სახელწოდება ინგლისურად			
კონკურსის მიმართულება[2]			
სამეცნიერო მიმართულებები (მაქსიმუმ სამი)	1. 2. 3.		
ჩატარების პერიოდი	დაწყების თარიღი		დასრულების თარიღი
ჩატარების ადგილი			
მოთხოვნილი დაფინანსება (ლარი)			
თანადაფინანსება (ლარი)			
პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)			

სამეცნიერო ხელმძღვანელი (PI)

სახელი, გვარი			
სამეცნ. ხარისხი		თანამდებობა	
პირადი ნომერი		ვებგვერდი	
ტელეფონი		ელ. ფოსტა	
მისამართი			

წამყვანი ორგანიზაცია

სრული სახელწოდება			
მისამართი			
ვებგვერდი			
ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი			
ტელეფონი		ელ. ფოსტა	

[1] გამოიყენეთ შრიფტი Sylfaen, ზომა 11, დაშორება "single".

[2] მე-2 მიმართულების არჩევის შემთხვევაში, შეგიძლიათ მიუთითოთ მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის , მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმუმ ორი სამეცნიერო მიმართულება), იხელმძღვანელეთ სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორით

I. სეზონური სკოლის აკადემიური კომპონენტი

1). სეზონური სკოლის კონცეფცია, თემატიკა, მიზნები და ამოცანები

განმარტება: სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა 600. ფასდება პროექტის შეფასების 1.1 კრიტერიუმით.

2). სეზონური სკოლის პროგრამა, საკითხების ჩამონათვალი, სწავლების მეთოდები და მიდგომები, სასწავლო მასალა

განმარტება: სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა 900. ფასდება პროექტის შეფასების 1.2 კრიტერიუმით.

3). ინფორმაცია სკოლის სამეცნიერო ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ლექტორების, მასწავლებლების, ინსტრუქტორების ან/და ტრენერების შესახებ [3]

განმარტება: ფასდება წარმოდგენილი პროფესიულ ავტობიოგრაფიასა და დოკუმენტებთან ერთად, შეფასების 1.3 კრიტერიუმით.

1	
სახელი, გვარი	
სამეცნიერო ხარისხი	
აკადემიური თანამდებობა	
სამუშაო ორგანიზაცია (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, ქვეყანა)	
პროექტში პოზიცია და მოვალეობა	პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი
თემა, საკითხი რომელსაც წაიყვანს	
მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები პროექტის შესაბამისი გამოცდილების შესახებ (მაქს. 50 სიტყვა)	

2	
სახელი, გვარი	
სამეცნიერო ხარისხი	
აკადემიური თანამდებობა	
სამუშაო ორგანიზაცია (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, ქვეყანა)	

[3] საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ ცხრილები

პროექტში პოზიცია და მოვალეობა	ლექტორი
თემა, საკითხი რომელსაც წაიყვანს	
მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები პროექტის შესაბამისი გამოცდილების შესახებ (მაქს. 50 სიტყვა)	

3	
სახელი, გვარი	
სამეცნიერო ხარისხი	
აკადემიური თანამდებობა	
სამუშაო ორგანიზაცია (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, ქვეყანა)	
პროექტში პოზიცია და მოვალეობა	
თემა, საკითხი რომელსაც წაიყვანს	
მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები პროექტის შესაბამისი გამოცდილების შესახებ (მაქს. 50 სიტყვა)	

4	
სახელი, გვარი	
სამეცნიერო ხარისხი	
აკადემიური თანამდებობა	
სამუშაო ორგანიზაცია (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, ქვეყანა)	
პროექტში პოზიცია და მოვალეობა	
თემა, საკითხი რომელსაც წაიყვანს	
მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები პროექტის შესაბამისი გამოცდილების შესახებ (მაქს. 50 სიტყვა)	

4). პროექტის წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციების სამეცნიერო-აკადემიური საქმიანობის შესაბამისობა პროექტის მიმართულებასა და მიზნებთან; საერთაშორისო და რეგიონული თანამშრომლობა

განმარტება: სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა 300. ფასდება პროექტის შეფასების 1.4 კრიტერიუმით.

II. სეზონური სკოლის პრიორიტეტულობა და აქტუალობა

1). პროექტის მნიშვნელობა მსმენელებისათვის

განმარტება: სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა 200. ფასდება პროექტის შეფასების 2.1 კრიტერიუმით.

2) პროექტის მნიშვნელობა პროექტში ჩართული აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირ(ებ)ისათვის

განმარტება: სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა 200. ფასდება პროექტის შეფასების 2.2 კრიტერიუმით.

3) პროექტის მნიშვნელობა პროექტში ჩართული ორგანიზაციებისათვის, ასევე ფართო საზოგადოებისა და ქვეყნისათვის

განმარტება: სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა 200. ფასდება პროექტის შეფასების 2.3 კრიტერიუმით.

III. სეზონური სკოლის მართვის კომპონენტი

1). პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შეავსეთ დანართი №4, ექსელის ფაილი);

განმარტება: ფასდება დანართი №4-ის გეგმა-გრაფიკის გვერდი პროექტის შეფასების 2.2 კრიტერიუმით.

2). პროექტის ბიუჯეტი (შეავსეთ დანართი №4, ექსელის ფაილი);

განმარტება: ფასდება დანართი №4-ის ბიუჯეტის გვერდი პროექტის შეფასების 2.3 კრიტერიუმით.

3). სეზონური სკოლის სამიზნე აუდიტორიის, მსმენელების მოზიდვისა და შერჩევის სტრატეგია და ტაქტიკა.

განმარტება: სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა 300. ფასდება პროექტის შეფასების 3.3 კრიტერიუმით.

4). პროექტის მოსალოდნელი შედეგები და სეზონურ სკოლასთან დაკავშირებული ინფორმაციის, ცოდნისა და გამოცდილების გავრცელების მექანიზმები

განმარტება: სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა 300. ფასდება პროექტის შეფასების 3.4 კრიტერიუმით.

IV. სეზონური სკოლის პროექტის რეზიუმე ინგლისურ ენაზე

(სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა 300).

დანართი 4
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის
2016 წლის 11 იანვრის № 02 ბრძანებით

პროექტის სახელწოდება:

წამყვანი ორგანიზაცია:

პროექტის ხელმძღვანელი:

პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი

N	დასახული ამოცანები და მათი განხორციელების შესაბამისი აქტივობები	შესრულების თარიღები	შენიშვნა
I	**ამოცანა**		
1	*აქტივობა*		
2	*აქტივობა*		
3	*აქტივობა*		
4	*აქტივობა*		
5	*აქტივობა*		
II	**ამოცანა**		
1	*აქტივობა*		
2	*აქტივობა*		
3	*აქტივობა*		
4	*აქტივობა*		
5	*აქტივობა*		
III	**ამოცანა**		
1	*აქტივობა*		
2	*აქტივობა*		
3	*აქტივობა*		
4	*აქტივობა*		
5	*აქტივობა*		
IV	**ამოცანა**		
1	*აქტივობა*		
2	*აქტივობა*		
3	*აქტივობა*		
4	*აქტივობა*		
5	*აქტივობა*		
V	**ამოცანა**		
1	*აქტივობა*		
2	*აქტივობა*		
3	*აქტივობა*		
4	*აქტივობა*		
5	*აქტივობა*		

<u>შენიშვნა</u>
საჭიროებისამებრ დაამატეთ, ან დააკელით სტრიქონები

პროექტის სახელწოდება:
წამყვანი ორგანიზაცია:
პროექტის ხელმძღვანელი:

პროექტის ბიუჯეტი

N	ხარჯის კატეგორია	ერთეული	თანხა	ჯამური თანხა	ბიუჯეტის დასაბუთება
I	**სამეცნიერო ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის და პროექტში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურება;**			-	-
1	**პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი;**	-	-	-	-
1.1.	სახელი გვარი			-	
2	**პროექტის თანახელმძღვანელი;**	-	-	-	-
2.1.	სახელი გვარი			-	
3	**პროექტში ჩართული პერსონალი;**	-		-	-
3.1.	პოზიცია			-	
3.2.	პოზიცია			-	
3.3.	პოზიცია			-	
3.4.	პოზიცია			-	
3.5.	პოზიცია			-	
3.6.	პოზიცია			-	
3.7.	პოზიცია			-	
II	**პროექტის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის და პროექტში ჩართული პერსონალისა და მსმენელების კვების ტრანსპორტირებისა და სასტუმროს ხარჯი;**			-	-
2.1.	კვების ხარჯი:			-	
2.2.	ტრანსპორტირების ხარჯი			-	
2.3.	სასტუმრო მომსახურების ხარჯი;			-	
III	**პროექტით გათვალისწინებული, სეზონური სკოლის თემატიკასთან დაკავშირებული პროგრამული აქტივობის**			-	-
3.1.	სასწავლო და სამეცადინო დანიშნულების პროდუქტები: ბეჭდვითი, ელექტრონული, ვიზუალური, საკანცელარიო და				
3.2.	სასწავლო და სამეცადინო დანიშნულების სერვისები (საველე სამუშაოებთან, ექსპედიციებთან და მუზეუმში ვიზიტთან				
3.3.	პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალების შესყიდვის, ან დაქირავების ხარჯი;				
3.3.1.	(დასახელება სპეციფიკის და თანხის მითითების გარეშე)				
3.3.2.	(დასახელება სპეციფიკის და თანხის მითითების გარეშე)				
3.3.3.	(დასახელება სპეციფიკის და თანხის მითითების გარეშე)				
3.4.	პროექტის განხორციელებისათვის საჭირო სივრცის დაქირავების ხარჯი;				
IV	**პროექტის განხორციელებისათვის საჭირო სხვა ხარჯები.**				-
4.1.	(დასახელება სპეციფიკის და თანხის მითითების გარეშე)				
4.2.	(დასახელება სპეციფიკის და თანხის მითითების გარეშე)				
სულ ბიუჯეტი;				-	

<u>ბიუჯეტის შევსებასთან დაკავშირებული შენიშვნები:</u>

1 გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანის
2 უცხოელი მსმენელების შემთხვევაში ფონდი არ აფინანსებს საერთაშორისო მგზავრობის ხარჯებს.
3 ფონდიდან მოთხოვნილი შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს პროექტისთვის ფონდიდან მოთხოვნილი ბიუჯეტის 35%-ს;
4 განმცხადებელემა არ უნდა შეცვალოს ფორმულები ბიუჯეტის ფაილში (გთხოვთ არ ჩაბეჭდოთ ფერად უჯრებში)

დანართი №5
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის
2016 წლის 11 იანვრის № 02 ბრძანებით

Curriculum Vitae

პროექტის მონაწილის პროფესიული ავტობიოგრაფია

.....
სახელი, გვარი / First name, Surname

.....
პირადობის ნომერი ID number

ტელეფონი Telephone .....

ე-ფოსტა e-mail .....

ვებგვერდი Webpage .....

.....
დაბადების თარიღი (დ/თ/წ)
Date of Birth (D/M/Y)

.....
პოზიცია/მოვალეობა პროექტში - Position/responsibility in the project

1. განათლება - Education

№	წლები Years	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება Name of University/Institute, Country	აკადემიური ხარისხი Academic Degree	სპეციალობა Major / Specialty
1				
2				
3				
4				
5				

2. სამუშაო გამოცდილება - Work Experience

№	წლები Years	თანამდებობა Position	დეპარტამენტი/განყოფილება Department / Unit	ორგანიზაცია Organization
1				
2				
3				
4				
5				

3. სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა - Participation in Research Grant Projects

№	წლები Years	როლი პროექტში Position / Responsibility	პროექტის დასახელება Project Title	დამფინანსებელი Donor Organization
1				
2				
3				
4				
5				

4. სეზონური სკოლის თემატიკის შესაბამისი პუბლიკაციების ჩამონათვალი (მაქსიმუმ 5) - List of Publications Relevant to the Seasonal School (max. 5)

№	პუბლიკაციის სათაური Publication Title	ჟურნალის სახელი, ტომი, ნომერი (წელი):გვერდები ან წიგნის/მონოგრაფიის სათაური, რედაქცია, გამომცემლობა, ქალაქი, წელი Journal Title, Series Volume Issue (Year Published): Page(s) ", Book / Monograph Edition #, Series Publisher, Year Published
1		
2		
3		
4		
5		

5. საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა - Participation in International Scientific Forums (max. 5)

№	წელი Year	ღონისძიების დასახელება Event title	ადგილი Venue	მოხსენების სათაური Presentation title
1				
2				
3				
4				
5				

6. გამოგონებების, პატენტების ჩამონათვალი - List of Patented Inventions (max. 5)

№	თარიღი Publication Date	გამოგონების სახელწოდება Title of Invention	მიმნიჭებელი ორგანიზაცია, ქვეყანა Patent-granting Organization, Country
1			
2			
3			
4			
5			

7. ენები - Languages

მშობლიური ენა / Mother Tongue .....

№	უცხო ენები Foreign Languages	საშუალოდ (A1,A2) Basic User	კარგად (B1,B2) Independent User	თავისუფლად (C1,C2) Proficient User
1				
2				
3				

8. პროფესიული მიღწევები - Achievements

№	წლები Years	მიღწევა Acievement
1		
2		
3		
4		
5		